

რედაქცია: სანთლოკაძე, ბაღის ქუჩაზე, მედიკი შვილის სახლში, № 43.

კანტორა რედაქციისა: მკლი-ქიშვილის სტამბაში, ბანაოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროаგა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთი თვისა—1 მან.

ქოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასო-ვებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ამ თვის 15-დამ, სუთუაბათილამ „დროების“ რედაქცია გადღის სერბიუვის ქუჩაზე, ქალაქის გამგეობის გვერდით, ი. ვ. ავირაბოვის სახლებში № 8.

შემდეგ ორმოცი დღის ვარდაცვალებისა კამანდირის პატრონორსკის პეხოტის პოლიცია, პულკოვნიკის მიხაილ ბაჟანის მის გუბუნივისა, მოკლულის სუთილამ მედიკოს რიციხესა წარსულ ნოემბრისასა, იერიშით მისვლით ქარსის ციხის აღებაზედ, —ქერივი მასი მკატირინე შორისიენა და ძმანი გარდაცვალებულისა: სთხოვენ ნათესავთა, მცნობთა და თანა-მოსამსახურეთა, რათა პატივი სცენ და მობრძანდნენ წირვაზედ და პანაშვიდზედ შაბათს, ჩვიდმეტს დეკემბერს ამა წელსა, ათსა საათზედ დილით, ანჩისსატის სობოროში.

(2—1)

### ტელეგრაფები

**ბრძოლის ველიდამ**  
**გომოტი, 10** დეკემბერს. (მ. ფიციალური).  
7<sup>მ</sup> დეკემბერს სერბიელებმა აიღეს წმ. ნიკოლაის გადასავალი და იმის სიმაგრეები. 8 დეკემბერს სერბიის ჯარმა დაუარა თავი ბაზინის-ზლოვასთან დაბანაკებულ რუსმალოებს; მიატოვებინა იმათ ეს პოზიცია და თვითონ დაიჭირა. ამავე დღეს, გაცხადებული ბრძოლის შემდეგ, სერბიელებმა აიღეს ჩეტინის ციხე მდ. მორავთან, ნიშის სამხრეთით. ნიშისა და ლესკოვაცს შუა ოსმალოებს გზა შეჭრული აქვთ.  
**სტამბოლი, 9** დეკემბერს. ინგლისის ელჩის ლეიარდის რჩევით, მსმალეთის მთავრობა აპირებს შეროპის სასახლეებთან თავის დანდობილ პირების გაგზავნას, რომელთაც უნდა დაარწმუნონ ეს სახელმწიფოები, რომ მსმალეთი შეასრულებს იმ რეფორმებსა, რომელთაც პირდება.

ბულებმა შეადგინეს თავის ნაციონალური ძრება, რომელმანც უნდა ამოარჩიოს ჯარისათვის სარდლები და აგრეთვე დროებითი მართებლობა ამ კუნძულისათვის; ძანდიელები საბერძნეთთან შეერთებას თხოულობენ და სრულს განთავისუფლებას მსმალეთისაგან.  
**ოდესსა, 7** დეკემბერს. ღღეს, დღლის 11 საათზე რუსდელის სტანციაზე მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი, რომელსაც დახვდა აქ ოდესის ქალაქის წარმომადგენლები, ლუბერნატორი მრდელი, გრადონაჩონიკი გრაფი ლევაშოვი, არხივისკოპოზი სამღვდლოებით და სხვ. ხელმწიფე მიესალამა ქალაქის წარმომადგენლებს, შემდეგ მივიდა არხივისკოპოსთან, რომელმანც აკურთხა ის და შეესხმა უთხრა. ოდესის ქალაქის თავმა ნოვოსელსკიმ მიართვა ხელმწიფეს პურ-მარლი და თან მოახსენა სიტყვა, რომელშიაც მიულოცა ამას ორი ჯარის გამარჯვება, შეროპისა და მზიის ბრძოლის ველზე, და სრულის გულით მადლობა უძღვნა იმ შრომისათვის, რომ-

მელიც იმან იკისრა ამ ბრძოლის დროს. მეოთხედი საათის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი ჩაბრძანდა ისევ ვაგონში და წაბრძანდა. შანგარიშო ხალხი „ურას“ ყვირილით მისდევდა იმას.

**პეტერბურდი, 10** დეკემბერს. ღღეს, დღლის 10 საათზე, მშვიდობით მობრძანდა აქ მ. ი. შ. ხელმწიფე იმპერატორი; ხელმწიფის ოჯახი, ქალაქის წარმომადგენლები, სამღვდლოება და უანგარიშო ხალხი ალტაცებით მიეგება იმას რკინის გზაზე. მთელს გზაზე, სასახლემდინ, აუარებელი ხალხი „ურას“ ძახილითა და ერთის ამპით მისდევდა ხელმწიფის ეკიპაჟს. ქაზანის სობოროსთან დამწყობებული იყო ჯარები და ყველა სასწავლებლის შაგირდები. საზოგადო ალტაცება.

**ლონდონი, 11** დეკემბერს. ინგლისის პარლამენტი 17 იანვარს გაიხსნება. ზაზ. „Standard“-ის სიტყვით, სამინისტროს განზრახვა აქვს, პარლამენტში შეიტანოს წინადადება, რომ მმართველობას მიეცეს საშუალება (ფული) იმდენათ გააძლიეროს ინგლისის არმია და ფლოტი, როგორც ახლანდელ პოლიტიკურსა და ომის მდგომარეობას შეეფერება. ეს გაზეთი ამბობს, რომ რუსეთს არ უნდა მიეცეს უფლებათ, რომ დაუბრკოლებლივ ისარგებლოს თავის გამარჯვებით, რადგან ეს პირ-და-პირ ზარალს მოუტანს ინგლისსა და ამის გამო ინგლისი ვალდებულია ეცადოს, რომ რუსეთსა და მსმალეთს მორიგება შეეძველად შეროპის სახელმწიფოების შუამავლობით მოხდეს.

**პარიჟი, 11** დეკემბერს. მუნიციპალური რჩევები (ქალაქის გამგეობანი) 21 დეკემბრისთვის არიან მოწვეულნი 33 ახალი პრეფექტი (ლუბერნატორი) დაინიშნა. რამდენიმე ძველი პრეფექტისაგან სამინისტროს საშისაზროდამ დათხოვნის ქალაქი მოუყვიდა, დანარჩენებს თვითონ სამინისტრო ითხოვს.

**ატინა, 9** დეკემბერს. ძანდიის აჯანყე-

# რუსის აზრები

## აზრის ბრძოლის ველიდან

**არტანანი**, 5 დეკემბერს. („დროების“ კორესპონდენცია). ჩვენი ატრიალი თავის კამანდირით ლენერალ პომაროვიტ წაიღო და ლაშქარში არდანიჭისაკენ. როგორც ისმის, უნდათ არტანუჩი აიღონ და აქ ოკრუგის ხაჩალნიკი დანიშნონ\*. პილდევ ისმის, მითომ ეს არტანის ატრიალი იქ უნდა იქნეს დაყენებული საზამთროთათ.

აქედამ—არტანუჩიდან ამ ატრიალით აპირებენ ბათუმზედ დასვას.

ამბობენ, რომ ბათუმში მოუყვანიათ ზღვით ოსმალებს ბევრი ჯარი.

მე მითხრეს აქ, არ ვიცი კი—რამდენათ ნაპდვილია ეს ამბავი, რომ, როცა ჩვენმა ჯარმა დაუწყო ზარბაზანის სროლა არზრუმსო, იქაური ჯარების სარდალმა ვითომ მოაგროვო არზრუმის ქრისტიანები და წინ წამოაყენაო. რასაკვირველია, ბევრი ამათგანი დაიხოცა ჩვენი ყუმბარებისაგანაო; მაგრამ რუსებმა მალე გაიგეს ეს ამბავი და იწამსვე შეაჩერეს ზარბაზნების სროლაო.

ჩვენი ქალაქის გარშემო მთებზედ დიდი თოვლი სდევს; შიგ ქალაქში კი არ არის. მართალია, მტკვარი გაყინა ასე, რომ ყინულზედ ხალხი გადადის და გადმოდის, მაგრამ ისეთი სიცივეები არ არის, როგორცაც ველოდით და როგორც იყო ავგუსტოში და სექტემბერში.

სიძვირე დილა სუყველაფერისა. მაგრამ კიდეც დიდება უფალსა, რომ მაინც რამე იშობება.

აქაური ხალხი—(ოსმალოების მშვიდობიანათ არიან და ისეთი ავაზაკობა აღარ არის, როგორც წინათ იყო. მხლა კუკუაშიაც არ მოსდით ამათ, რომ რამე ცულაკობა ჩვენზედ მოიქმედონ იმისათვის, რომ დარწმუნებულნი არიან, ამ ქამად ვერას გაიტანენ...

### დ. მუხარელოვი

ვენის გაზეთს „Montags Revue“-ში, რომელსაც, როგორც ამბობენ, დაახლოებული დამოკიდებულება აქვს ავსტრიის მმართველობასთან, შემდეგი სტრიქონებია დაბეჭდილი:

„სანამ ბოლგარიის გამოჩენილი ციხე-ქალაქები: შუმლა, სილისტრია, რუსჩუკი და მარნა ოსმალოების ხელში იქნება, მანამ მორიგება ძნელად მოსალოდნელია; მხოლოდ, როცა ბოლგარიიდან განდევნილი იქნებიან ოსმალოები,

\*) მთავრობის ტელეგრაფმა გაცნობა, რომ შემოსვენებულ ატრიალს 5 დეკემბერს აუღია არდანიუჯი.

არა აქვს განზრახვა გაავრცელოს მეროპაში თავის სამფლობელო. მაგრამ ისიც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ ომის ხარჯში გამოსასვლელად რუსეთი, უეჭველია, მოითხოვს შარსს, ბათუმს, არზრუმსა და ტრაპიზონს. და უკანასკნელმა სიტყვამ ლორდ ლერბისამ დაგვარწმუნა, რომ ინგლისი ამ შემთხვევაში ხმასაც არ ამოიღებს...“

არზრუმიდან „რეიტერის სააგენტოში“ იწერებია 25 ნოემბერს:

„არავითარი ბრძოლა არ ყოფილა ჯერ არზრუმიდან. ლენ. ლორის-მელიქოვი, რომელიც ამ ქამად ბარდოსშია, გაგზავნა ჯარები მლთისისა და მამერგანი-მაშინ დათანხმდებიან ისინი მორიგებაზე, რადგან სხვა გზა აღარ ექნებათ.

„რაიცა შეეხება თვითონ მორიგების პირობებს, ყველამ იცის, რომ რუსეთს საკენ; მაგრამ, ცუდი გზების გამო, იძულებული შეიქნენ, რომ ეს ჯარები ისევ უკან დაებრუნებინათ. ახლა ეს ლენერალი თავის ატრიალით და 20 ზარბაზნით წაიდა საღანლოლიდან პასინისაკენ.

„შარსიდან არზრუმთან ჯარებისა, სამარი იარაღებისა და სურსათის გაგზავნა ძალიან უჭირთ რუსებს. საშინელი თოვლი და სიცივეებია, რომლის გამოც არზრუმსა და ტრაპიზონს შუა ბევრ ალაგას გზები შეიკრა.

„ამბობენ, ვითომც რაც ოსმალოების დაჭრილი და ავათმყოფი ხალხი დარჩა შარსში, რუსებს განზრახვა აქვთ, რომ სუყველა არზრუმში გაგზავნონ.“

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში მოყვანილია შემდეგი ლებემა 28 ნოემბერს შარსიდან მიღებული:

„ლემდინ არზრუმიდან არავითარი ნაძვილი ამბავი არ მოგვდის. ამ ქამად რუსები ვერ მოახერხებენ არზრუმს გარშემო გზები შეუკრან. მაგრამ ამბობენ, რომ რუსები ეცდებიან, რომ ტრაპიზონის გზა კი შეჭრან და ამისთვის ცალკე ჯარებიც გაუგზავნიან იქითკენ.

„ლენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვი და ლენ. ბეიმანი ამ ქამად ჰასსან-ძალაში იმყოფებიან. ლენ. ტერ-ლუკასოვი ამ დღეებში აქ იყო. ბუშინ მოკვდა აქ რაის-ახმედ-ფაშა, რომელიც შარსის აღების დროს იყო დაჭრილი.“

ვენის გაზეთს „Presse“-ში 25 ნოემბერს იწერებია ბათუმიდან:

„ამ დღეებში ოსმალოს მოწინავე ჯარს დაეცა ტყეში დამალული ცხენოსანი და ქვევითა ატრიალი რუსებისა; შეიქნა სროლა; ამ დროს ოსმალოებს მოეშველენ თავისიანები და ხარაბა-ყილისამდინ უკან დასწიეს რუსები, რომელთაც დიდი ზარალი მიეცათ.“

სტამბოლის გაზეთებში გამოცხადებულია ბათუმიდან 30 ნოემბერს დერიში-ფაშისაგან მიღებული ტელეგრაფმა, რომ

მელიც გვაცნობებს, რომ „რუსის ჯარი ჩურუქ-სუს დაეცაო; მტკვარზედ უკუ-აქციეს მტერიო.“

## ვეროპის ბრძოლის ველიდან

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ლებემა ბოლგარიის ბრძოლის ველიდან მიღებული 1 დეკემბერს:

„მომეტებული ნაწილი იმ არმიისა, რომელიც პლენენს გარეშე იყო დაყენებული, მიემატება მემკვიდრის კორპუსს; დანარჩენები კი წინ წავლენ, სოჭისაკენ. რუსიანის არმიის დანიშნულება კი ის იქნება, რომ მდ. ლუნის ნაპირები დაიცივას მტრისაგან და მიდღინზე არ მიუშვან მტერი.“

„ტელის მაზეთის“ სიტყვით, ლენ. ძალაპა ცდილობს, რომ მენგრიისა და ავსტრიის მმართველობამ ოსმალოების სასარგებლოდ შუამავლობა იკისროს. ამბობენ, რომ ამ ჰაზრის სისრულეში მოსაყვანათ ძალაპა სახალხო კრებებს შეადგენს და თვითონ პარლამენტშიაც ჩამოაგდებინებს ამ საგანზე თავის მომხრე ღებუტატებს ლაპარაკსაო.

ბუხარესტიდან მოსული ლებემა გვაცნობებს, რომ 2 დეკემბერს ამ ქალაქში უნდა მიეყვანათ 10,000 კაცი ოსმან-ფაშის დატყვევებული ჯარი, რომელთაც აქედამ რუსეთში აგზავნიან. ამ დღეებში მიელოდნენ იქ ოსმან-ფაშასაც, რომლისთვის ერთს იქაურ საუკეთესო სასტუმროში რამდენიმე ოთახი იყო დამზადებულიო.

სულეიმან-ფაშას მიუწერია შემდეგი ლებემა 30 ნოემბერს სტამბოლში:

„რადგან ჩვენი—რუსჩუკის კორპუსი პირგოსს მიაწვა, ამის გამო რუსები იძულებული შეიქნენ, რომ ამ მხრით რამდენიმე თავის გამაგრებული პოზიციები მიეტოვებინათ და უკან დაწეულიყვნენ.“

„მეჭმედ-ალი-ფაშის არმიის მიყოფი კორესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა შამარლიდან იწერება 26 ნოემბერს:

„ბუშინ რუსებს უნდოდათ, რომ შამარლისთან, ოსმალოების ბანაკის პირდაპირ, იმაზე, აეტანათ ოთხი ზარბაზანი; მაგრამ ოსმალოებმა დროზე შეუტყვეს, დაუშინეს ყუმბარები და უკანვე დაბრუნეს.“

„ამ ქამად აქეთკენ საძაგელი დღეებია, ასე რომ სანამ ტაროსი არ გამოიკვლევება, არავითარი სამხედრო მოქმედება არ მოხერხდება აქეთკენ.“

# საქართველო

## დღიური

„დადგა ზამთარი და სხვა-და-სხვა ავათმყოფობამ და სიკვდილმაც იმატა ჩვენს ქალაქში.“

დოქტორები ამბობენ, რომ ამ ქაშად სახადი ერთობ განხორციელებული არის ჩვენს ქალაქშია. ეს და სხვა ამგვარი ავთომყოფობა განსაკუთრებით იმ უბნებში არის გავრცელებულია, საცა ღარიბი ხალხი ცხოვრობს.

შეველია, რომ უმთავრესი მიზეზი ამ ავთომყოფობათა გავრცელებისა სიძვირეა, რომლის გამოთ ღარიბ ხალხს ვერც რიგიანი და სამყოფი საჭმელ-სასამელი უშოვნია, არც შეშა აქვს და არც რიგიანი საღვამი.

შალაქის ზამგეობასა და პოლიციის მხრით ჩვენა არა ვხედავთ არავითარ განკარგულებას, რომ ამ გაჭირებაში მყოფ შალაქს ერთი რამ ღონისძიება და წამალი უშოვნონ....

\* მთა-წმინდის, ხარფუხისა და სხვა მალა უბნების მცხოვრებნი სჩივიან, რომ მეთულუხეებს წყალი არ მოაქვთ ამ უკანასკნელ დღეებშია და, სხვათა შორის, ამ უწყლოობითაც საქმე გვაქვს გაჭირებულია.

აქაც შალაქის ზამგეობას უნდა მივმართოთ....

\* ღღევანდელ ნომერში წაიკითხავთ შოთილამ მიღებულს კორრესპონდენციას, რომელშიაც აწერილია ის ზიანი, რომელიც ამ ქალაქისთვის საშინელს ქარს მიუტია. ამას ვარდა დასავლეთ საქართველოდამ რამდენიმე სხვა წერილი მივიღეთ ჩვენ ამ დღეებში და ყველანი სჩივიან, რომ ამ ქარებმა დიდი ზარალი მისცა ხალხსა.

სხვათა შორის, მრავალიდამ გვაცნობებენ, რომ ბევრი ძველი შენობები წააქცია აქ ქარმათ, ახალი შენობები თითქმის სახურავამდინ დამალულია ქვიშითა და მიწით, რომელიც ქარმა მიაცარა, და ქუჩებშიაც იმდენი ქვიშა ჰყრია, რომ კაცს სიარული გაუძნელდებო. აქვე პარამი გაუყინავს და რიონზე ხალხი ვეღარ გადადის თურმე. კორრესპონდენტის სიტყვით, ამ მოყრილი ქვიშის გადასაყრელად ყოველ სახლის პატრონს უკანასკნელი 100—200 მანეთი დასჭირდება... ბაღები, ხეხილები სულ გაუფუჭებულია. ცეცხლიც გაჩენილა მრავალში, მაგრამ მთელი ქალაქი დასდებია და მალე გაუქვრიათ.

\* ჩვენ შევიტყუეთ, რომ საქმე ანდრევესკის ქალის მკვლელობის თაობაზე მომავალი წლის მთებერვლისთვის არის დანიშნული განსახილველად სასამართლოში.

„დროშის“ კორრესპონდენცია

შოთი, 9-ს დეკემბერს. ისე თქვენი მკითხველების მტერი დაიღუპოს, დაზარალდეს და დაინგრეს, როგორც ამ აღმო-

სავლეთის ქარმა შოთი დაღუპა და დაზარალა. აღარ გაუშვა ერთი სახლი დაუზარალებელი, დამტერია ფანჯრები, გადააგლიჯა ყვარი თუ ჟესტები.

ისეთ ნაირათ არახუნებს და ანგრევს ყველაფერს, რომ გასაკვირველია; ქუჩაში რომ კაცი მიდიოდეს, უნდა აქეთ-იქით იყურებოდეს, რომ ზევიდან შენობიდან არაფერი არ დაეცეს ქარის წყალობით. როგორც ყვარსა და ქესტსა, ისე ავურსა და კრამიტს ისვრის; ქუჩები სასეა ყოველი შენობის მასალით.

ამ შემთხვევით მიკიტნები და ხარშონიკები სარგებლობენ: წელს შეშა აღარ მოუხდებოთ, იმოდენა ყვარი აქვს მოგროვილი!

რა ბევრი თავი შეგაწყინოთ, ისე დაზარალა შოთი, რომ მტერიც რომ დასცემოდა, მეტათ აღარ დაზარალდებოდა. ამ გაცივებულს და დაცარიელებულს შოთს რალა ეს აღმოსავლეთის ქარი ეჭირებოდა, რალა ზარალი და დანგრევა ეჭირებოდა? ამხედ არის ნათქვამი: „თავათ არ იყო ძმარიო, შიგ გაუთრის წყალი“. ისეც ახრებული იყო ამ ომიანობის მიზეზით და ამ ქარმა სულ ბოლო მოუღო.

ამ ერთი კვირის წინათაც იყო აქ ამ ნაირივე ქარი, რომლის მიზეზით ერთს ვაჭარს დამოჟნის მახლობლად რიონის პირზედ, დიდი ზარალი მიეცა: ცეცხლი გაუჩნდა და ბევრი მალაზიები გადაეწვა. დიდი ქარის გამო ხალხი ვერ მიეშველა, რომ გადაერჩინათ. არ ვიცი—ეს მალაზიები სტრახში ჰქონდა შეტანილი, თუ არა. ხალხი ლაპარაკობს, ვითომც ათას თუმნათ ჰქონია მიცემული სტრახში. თუ ესეა, ხომ კარგი, თუ არა და დაიღუპა საწყალი ვაჭარი...

ამ პოლიასტომისაგან ხომ გულები აქვს დასეთილი აქაურს მცხოვრებთ: ყოველს ზამთარში პოლიასტომის გარეშემო მინდვრები იწვის; ვილაც მეთევზე ანუ მონადირეები დაანთებენ ცეცხლს გასათბობათ, თუ ნადირის დასახოცათ; მერე მიანებებენ თავსა და, რასაკვირველია, ცეცხლი ძლიერდება და ეკიდება მთელს მინდვრებს.

წუხელის, საათის 8-ზე, უცებ განათდა მთელი შოთი; ასტყდა ზარის რეკა; შეშინებული მცხოვრებნი გამოცვიდნენ გარეთ, ეგონათ სადმე ქალაქში არის ცეცხლი. მაგრამ, მადლობა ღმერთსა, ქალაქ გარეთ იყო. მაგრამ თვითონ ქალაქიც დიდს შიშში იყო, რადგანაც ცეცხლი მოახლოებული იყო თოფის წამლის ამბარს; ქარისა და მცხოვრების მიშველებით ცეცხლი აღარ გაუშვეს წინა და გააქრეს. თუ აქაც მოჰკიდებოდა, შოთის წირვა გამოვიდოდა...

მინმე გორელი

ზორი, 2 დეკემბერს. ამის წინაშედაც გაცნობეთ, რომ წრეულ აპრილში ზორში შმინდა-წყალზედ და ქაშით შშინს პირზედ მოსახლებს ბევრს შორსაცა სახლები და ბაღები წაიხემა, და ნაწვამინადგი ფულებით აშენებულს სახლებს გამოათხოვა ხალხი.

ეს ადგილები თუ შენობები დღესაც უპატრონოთ არის. ჩვენი არხიტექტორი უფ. ბაროვსკი ვერ ხედავდა, რომ წაიხევი დაქანებული მოდიოდა და ამ ადგილებს, ადრე თუ გვიან, მოჰგლეჯდა; მაგრამ მე რალას ვამბობ: ამას თავის ჯიბის დარდი აქვს და არა ხალხისა.

მაგრამ ეს რაც იყო, იყო, ეხლა საშუალება აქვს ზორსა წაიხევი გაიმაგროს და ამ ადგილის მცხოვრებლები ისევ გავიდნენ თავის ალაგასა. აი რანაირათ, მოგახსენებთ:

მხლა ხმა არის, რომ ზორიდან ცხინვალზედ შლადიკავკაზამდინ რკინის გზა უნდა გავიდესო. ძალიან კარგი იქნება, რომ ვისაც ეს შეეხება ის პირი და აქაური ხალხი ეცადნონ, რომ რკინის გზის დამბა გამოდმით გამოატარებინონ, სადაც დაზარალებული სახლებია. ეს დამბა სამუდამოთ გაამაგრებს წაიხევის პირსა და შიში აღარ ექნება მაშინ ზორის ახლათ გაშენებულს ორს უბანსა.

ძალიან სასურველი იქნება ამხედ იზრუნონ; მაგრამ ამას კი ვნატრობ, რომ, თუ გამოყვანა იქნება დამბისა, ჯერ ნუ გამოიყვანებენ; ჯერ ერთი დიდი სათხოვარი გვაქვს წაიხეთან გორელებსა: ნეტავი ერთი ამ ჩვენ საზოგადოებაში მავალ დესეტნიკებს კი ჩაყლაპავდეს როგორმე და სხვა არა გვიანდარა!

ბატონო, თითო დესეტნიკს დაჰყავს რამდენიმე სალდათი, ყველანი ერთად დათვრებიან დუქნებში და სულ ხართა ლალოთი დადიან. შეხედებათ ვინმე ქუჩაში და ესენი სცარცვენ, შეწვენის მაგვარად. ამ ერთი თვის წინათ აქაურმა გამოიქვიებელმა უფ. ტერ-სტეფანოვმა კიდევაც დაიჭირა ერთი დესეტნიკი ამ საგანზედ. როგორც ეტყობა; აფიცარი პოლიციისა არ არის დადებული;—რა ვიცი, კი არ დადიან-და! მაგრამ ეხლა ზამთარი არის, რომ გაცივდნენ, ძნელია, სახლში ჯდომა სჯობიან თბილ ბუხართან, მერმე თუ მოხუცებულიც არის და ბურნუთის წვეაც იცის. თუ უ. ბაროვსკი—ეს ბრძენი პლანის მიმცემიც—თან გაჰყვება დესეტნიკებს წყალში სამოგზაუროთ, ურიგო არ იქნება...

ერთი სიტყვით, როცა ამათ მორჩება ზორი, მაშინ კი მეცადინეობა საჭირო იქნება დამბის გაყვანაზედ.

თუ ზორმა მოინდომა და ხუთი ათასი თუმანი მისცა რკინის გზის სამშარ-

თველოს დამბის აქეთ გამოსატარებლათ, აღვილათ შეიძლება სამართველო რკინის გზისა თანხმა გახდეს. ეს ალაგი დარჩება მაშინ უშიშარი და ამ ხუთი ათას თუმანსაც გადინდის და ხუთი ათასი თუმანიც სხვა დარჩება, რადგანაც 1,000 უჩასტკა შეიძლება აიღოს ხალხმა, თუ ლიხვისაგან შიში არ ექნებათ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი გორილები ვანსაკუთრებით ციხის მანლობლად მცხოვრებნი, არას დაგიდევნენ, თუ ლიხვი წინდა-წყალზე მცხოვრებს წაიღებს. მსენი სხვისთვის რას იღარდებენ! მულო სრული აქეთ, ზოგი მამის ფულით კოჭაობს, ზოგი მოტაცებული ფულით, უდგიათ ძვირფასი სახლები, ზოგსაც საფლავისკენ პირი მიუქცევია; ამათ „სხვის ტირილი მღერად მიაჩნიათ;“ დილით გამოვლენ, იპორიკაებენ ზუღდემდინ ბაზახანაში, ესე იგი „ხარახანის ბირჯაში,“ სადილისთვის სუკეშს და ოჩხის თევზს დაითრევენ, სადილათ დაძღვებიან და „მუცელზედ ხელს ისმენ, სანამ დაეძინებათ!“ ანაღვლე ამათ, თუ ქარი ბზეს წაიღებს და ამათ დარჩებათ პური! მინც რას უნდა ეცადოს, ესენი ხელს მოუტრიან და დარჩება ლიხვი ისევ ისრე, როგორც ეხლა არის... თუ ვისმეს თავი მოუვრინა წინააღმდეგს, ხომ კარგი, თუ არა და მადლობა ღმერთსა!

ა. თუთაყვი

წერილი რედაქტორთან

შეალო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-203 კვ-ში არის დაბეჭდილი ახალციხიდან

გამოგზავნილი—„ახალციხური ფელტონი“—, რომლის ავტორობა ზოგიერთ აქაურ პირთა მომწერეს მე და განაცხადეს უკმაყოფილობა, ვითომც მე აქაურ ქალებს ჭორი მოუვარე და საციცხავათ გავხადე, ვინაიდან აქ არა მამხდარა-რა იმისთანაო, რასაც უ. შინო—ავტორო იმ ახალციხური ფელტონისა—სწერსო.

მართალიაო, ამბობენ ეს პირნი, აქ ხაშობის დროს, ჩვეულებრივ, იყო ორი თუ სამი სადილი, სადაც როგორც ქალები, აგრეთვე კაცებიც იყვნენ და სადღევრძელოც ისე სვეს, როგორც უფ. შინო სწერს თავის ფელტონშიო, მაგრამ აქ ჩვენ არავითარ საციცხავ ყოფაქცევას ჩვენსა არ ვხედავთო და სხვა არავითარი ქალების კრება აქ არ შემდგარაო.

მთხოვ, უ. რედაქტორო, ვინაიდან მე არ ვარ ავტორი „ახალციხური ფელტონისა“, ამ ჩემს წერილს მოკლე ხანშიდ მისცე ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში. საიდანაც ეს პირნი დარწმუნდებიან, რომ მე არ ვარ ავტორი ამ ფელტონისა და თავიანთ ჰაზრს მააწერენ იმას, ვისაც ეკუთნის. ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ შრომა და თქვენც ამ უკანასკნელ საგანზედ თქვენის მხრით დამემოწმოთ \*).

ღვთებში თქვენი პატივისცემული თ.

თ. ძობეშაიძე.

ახალციხე, 8 დეკემბერს.

\*) შემოწმებით და ვაცხადებთ, რომ სხენებუ-ლი ფელტონის ავტორი არ არის უფ. თ. ძობეშაიძე.

ახალი ტამსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობა-ში ქერის და თივის სიმძირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვის დამანიშნა შემდეგი დროები თი ტაქსა:

მართი გზა . . . . .	40 კაპ.	25 კაპ.
საათი . . . . .	80 „	55 „
ქალაქიდან—ნავთლულს	80 „	50 „
— მუშტაიდან—	60 „	45 „
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდან ნავთ.—2 „	— „	1 მან. 50 „
— დამოქნამდინ—1 „	50 „	1 „ — „
— ქალაქ. ყველგან 1 „	— „	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.—	80 „	50 „
— ნავთლულიდან 1 „	50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და უკან —	1 „	30 „ — 90 „

შენიშნება). ორ ფუთამდინ ბოგაქისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნება ბ). ნაშუაღანევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროქის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განსხვავებული გაკვეთილები

ზრანსუზულის მინსა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. ბრამატიკა და ლაპარაკი ფრანკულულს ენზედ. მსურველს შეუძლიან მიმართოს მუთაისში, უფ. ზაქარია ძანდელაქის სადგომში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „სოლი ვიტიროს თუ ფული?“ ოთხ-მოქმედებიანი კომედია უფ. ალ. ა. თუთაყვისა

რკ. გზა.	დღილი	სალმ.	II კვ.	III კვ.	ტელეგრაფი	მ. კაპ.	ბირჟა	მან. კაპ.	გაზაფადა	მან. კაპ.
თფილისი	9 21	5 18			მცხეთის სიტუვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 6 ქრისტეშ.		თფილისი, 9 ქრისტეშ.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მთათის, შოთს	1	პირთი პანეთი ლიბს:		შვედ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2 20
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	როსტოვის, მდევას, მთსკოვის	2	ლონდონში 24 პენსი.	78	შვედლი წითელი . . .	1 60
ხაშური	1 29	11 57	3 22	2 18	პეტერბურგს, მარშაფას	2	პარიჟში 255 სანტიმი.	62	ქვითი ფუთი . . . . .	1 50
სურამი	1 44		4 42	2 46	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	მსკონტი (სარგებლისუფასი)	74	ბაზა, ქრევისა, ფუთი . . .	9
მერილი	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბანკის ბილეთი 5%	96	— ამერიკისა, ფუთი . . .	12
რიონი	6 47		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მოგებიანი (პირველისა-ს)	234	ბაპენტილი ბაზა ფუთი.	14
სამტრედია	7 41		7 73	4 29	უკრაინაში		მოგებიანი (მეორე ხესნი)	228	მატული თუშური ფთ.	7
ბა. სეფაკი			8 57	4 76			ბიროას ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	5 50
უკათი	9 40		9 75	5 42			ფილ. საზნ. ბანკისა.		პბრე მუტი ნუხური ფუთ	145
					ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთათს, რუსეთს—ყოველ დღე		ხერსონის ბანკის (1%)	85 25	ქონი, ფუთი. . . . .	6 50
უკათი	9 13				სამშ. და შაბ. ბ) მუთათისიდან:		მოსკოვის (1%) . . . . .	85 50	ქონის, სანთელი ფუთი.	8
ბა. სეფაკი			1 18	6 66	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		აქცედი:		სტარონის სანთელი, ფ.	15 60
სამტრედია	11 16		2 6	1 14	დღე, კვირას გარდა. მსურვეთს—		მდევის სავაჭრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	72
რიონი	12 13		3 4	1 69	ლდე, კვირას გარდა. მსურვეთს—		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრა . . .	72
მერილი	1 18	დღე	3 98	2 21	ორშ. და პარასკ.		შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	საიტო, გრადუსი კინი	12
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	პეკუბისა და მერკუროს	225	შაქარი, ბროც. ფუთი . .	9 20
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	და სამზღვარ გარეთ:		პირვე. საზღვევ. საზღვ.	745 50	— ფხენილი ფუთი . . . .	8 50
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9	ღრ წიგნის	4	პეტერბ. საზღვევ. საზღვ.	235 50	მხითი ფუნჯუთისა ფუთ.	13
მცხეთა	8 50	6 59	8 5	4 4	და ბეჭდილის (სამი მისხალი)	8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მქობ 1/2 იმპერიალი.	8 5
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42						